ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3953183

ნომერი: AR1590200

თარიღი : 02.04.2018

გაცემის თარიღი : 16.05.2018

გაცნობის თარიღი : 16.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გულუას ქუჩაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონი გოგუა პ/ნ 01017044688
- თბილისი პ.იაშვილის ქ. N 1/6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქთბილისისმერიისურბანულიდაგეგმარებისსაქალაქოსამსახურის2007 წლის 25 აპრილის N2143 ქალაქთმშენებლობითპირობებშიცვლილების შეტანისთაობაზე

ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ– ქალაქ თბილისისარქიტექტურის სამსახურს2018 წლის 2 აპრილს განცხადებითმომართა მოქალაე ბესარიონ გოგუამ და მოითხოვა 2007 წლის 25 აპრილის N2143 ქალაქთმშენებლობით პირობებშიცვლილების შეტანა.
სამსახურმასაქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის96-ე მუხლისმოთხოვნათა შესაბამისადშეისწავლა საქმისათვისარსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებებიდა დაადგინა, რომ ქალაქთბილისის მერიისურბანული დაგეგმარებისსაქალაქო სამსახურისმიერ 2007 წლის 25 აპრილის ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩის მიმდებარედ არსებულ, N01.18.05.008.073 საკადატრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ფართობით 1412 კვ.მ. მრვალფუნქციური ბიზნეს-ცენტრის (საოფისე და ბანკის შენობა) განთავსების მიზნით დადგინდა N2143

ქალაქთმშენებლობითი პირობები. შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა.
ამჟამად განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტის ფუნქციებს, საოფისე, საბანკო, დაემატოს სასტუმროს ფუნქცია. რაც, ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით, სამსახურ შესაძლებლად მიაჩნია. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2007 წლის 25 აპრილის N2143 ქალაქთმშენებლობით პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდესცვლილება ქალაქთბილისის მერიისურბანული დაგეგმარებისსაქალაქო სამსახურის2007 წლის 25 აპრილის N2143 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: მრავალფუნქციური კომპლექსის სახეობებს დაემატოს სასტუმროს ფუნქცია.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანულიდაგეგმარების საქალაქოსამსახურის 2007 წლის 25 აპრილის N2143 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.